

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვით შეფასების დეპარტამენტს

შეზღუდული პასუხისმგებელი საზოგადოება „მეტრო პროექ“ (ს/კ 400228160)

ელ.ფოსტა. agras.tm@mail.ru

ტ. 593 71-83-76.

სკრინინგის ანგარიში

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეტრო პროექ“ (რეგისტრირებული: საქართველო, თბილისი, გ.სვანიძის N6, ბინა N29,) გეგმავს ანტიფრიზის წარმოებას ქალაქ თბილისში, დასახლება ავჭალა (GPS კოორდინატში X=484160.00; Y=4628860.00).

საწრმოო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დამორებული იქნება 50 მეტრით (იხ. დანართში სიტუაციური რუკა).

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-6 პუნქტის 6.1 ქვეპუნქტის თანახმად, შუალედური პროდუქტის ქიმიური დამუშავებით ქიმიური ნივთიერების წარმოება და 6.3 ქვეპუნქტის თანახმად, ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას და სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ანტიფრიზის წარმოებასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს: ქალაქ თბილისში, დასახლება ავჭალა, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 01.11.03.010.004 და წარმოადგენს მის კუთვნილ ტერიტორიას. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს 4916.00 მ² და აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებობს შენობა-ნაგებობები და და ის ინფრასტრუქტურა, რომელიც საჭიროა აღნიშნული საწარმოს ფუნქციონირებისათვის.

ანტიფრიზის წარმოებას, რომელიც მოიცავს საზღვარგარეთ შეძენილი ნედლეულის გამოყენებას წარმოებაში. ნედლეული ინახება ქარხნულ დალუქულ შეფუთვებში (25 კგ, პლასტმასის ტევადობა 1100 კგ.), სპეციალურად აღჭურვილ საწყობში, მწარმოებლის მიერ შენახვის პირობების დაკმაყოფილებით, კერძოდ პანელებზე, ტენიანობა 20%-ი, ტემპერატურა +5 გრადუსიდან +50 გრადუსამდე.

წარმოების ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი, ხდება სპეციალურად აღჭურვილ საამქროში.

ანტიფრიზის წარმოების ტექნოლოგია მოიცავს:

გაწმენდილი წყალი შეჰყავთ სპეციალურ ჭურჭელში (მიქსერი) საჭირო რაოდენობით.

ემატება ეთილენგლიკოლი და მორევა მიმდინარეობს 20 წუთის მანძილზე.

შემდეგ ხდება მიღებული მასის გათბობა 40 ° C- მდე ელექტროენერჯის ხარჯზე.

მიქსერში სითხის დათბობის შემდეგ, ემატება ყველა ის კომპონენტი საჭირო დოზირებით. ამავე დროს, თითოეული კომპონენტის მორევა მიმდინარეობს მინიმუმ 20 წუთის განმავლობაში.

კერძოდ ხდება შემდეგი კომპონენტების დამატება;

- 1) ემატება ტექნიკური ბორაქსი;
- 2) ემატება ტექნიკური ნატრიუმის ნიტრიტი;
- 3) ემატება ტექნიკური ბენზონის მჟავა;
- 4) ემატება ტექნიკური კაპტაქს ემბეტე;
- 5) ემატებადექსტრინსი.
- 6) ემატება ნატრიუმის ჰიდროქსიდი - კაუსტიკური სოდა;
- 7) ემატება პენოგასიტელი Penta-4604.

ხდება ზემოთ ჩამოთვლილი ყველა კომპონენტების მორევა, სანამ ერთგვაროვანი სითხე (ანტიფრიზი) არ მიიღება, რომელიც მზადაა გამოსაყენებლად.

შემდეგ ეტაპზე ხდება ანტიფრიზის ჩასხმა შესაბამის ჭურჭელებში, ეტკეტირება და მზადაა რეალიზაციისათვის.

საწარმოში დღეში 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით იგეგმება 1 ტონა ანტიფრიზის წარმოება, ანუ წელიწადში 260 სამუშაო დღით 260 ტონა პროდუქციის წარმოება, რომლისათვის გამოყენებული ნედლეულის რაოდენობები ერთი ტონა პროდუქციის წარმოებისათვის ტოლა;

- 1) ტექნიკური ბორაქსი - 6.2 კგ/ტ-ზე ანუ 1.612 ტ/წელ;
- 2) ტექნიკური ნატრიუმის ნიტრიტი - 1 კგ/ტ-ზე, ანუ 0,260 ტ/წელ;
- 3) ტექნიკური ბენზონის მჟავა - 7 კგ/ტ-ზე ანუ 1.820 ტ/წელ;
- 4) ტექნიკური კაპტაქს ემბეტე - 0.25 კგ/ტ-ზე ანუ 0,065 ტ/წელ;
- 5) დექსტრინსი - 0.64 კგ/ტ-ზე ანუ 0,1664 ტ/წელ;
- 6) ნატრიუმის ჰიდროქსიდი - კაუსტიკური სოდა - 45 კგ/ტ-ზე ანუ 11.700 ტ/წელ;
- 7) ემატება პენოგასიტელი Penta-4604 – 0.06 კგ/ტ-ზე ანუ 0,0156 ტ/წელ;
- 8). ეთილენგლიკოლი - 540 კგ/ტ-ზე ანუ 140,400 ტ/წელ;
- 9). ფერის მიმცემი პიგმენტი - 0.01 კგ/ტ-ზე ანუ 0.0026 ტ/წელ;
- 10). წყალი 400 კგ/ტ-ზე ანუ 104 ტ/წელ;

საწარმოო მთელი პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ანტიფრიზის დამზადებისას ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გამოყოფას ადგილი არ აქვს, რადგან გამოიყენება ისეთი თხევადი ნივთიერებები, რომლებიც წყალში ხსნადია და რომელთა წყალში არევისას არ გამოიყოფა რაიმე მავნე ნივთიერება აონების სახით.

ანტიფრიზის წარმოებისას ფუნქციონირებისას წყალი საწარმოო მიზნებისათვის გამოიყენება მისი შემადგენელი კომპონენტების წყალში გახსნისათვის, რომლის

რაოდენობა დღეში არ აღემატება 400 ლიტრს, ანუ წელიწადში გამოიყენება 104 ტონა წყალი. საწარმოში საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება.

ასევე წყალი გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის და სახანძრო მიზნებისათვის. წყლის მომარაგება მოხდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლების ჩაშვება განხორციელდება ქალაქ თბილისის საკანალიზაციო სისტემაში.

ანტიფრიზის წარმოებისათვის გამოყენებული დანადგარი განთავსებულია დახურულ შენობაში და ასევე მთელი პროცესი მიმდინარეობს ამ შენობაში, ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი რაიმე მავნე ნივთიერებებით არ არსებობს. აღნიშნული სანიაღვრე წყლები ჩაედინება ქ. თბილისის სანიაღვრე კანალიზაციაში.

საწარმოო შენობა აღიჭურვება შესაბამისი ცეცხლმაქრებით.

საწარმოო ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება ნარჩენების განთავსებისათვის უბანი, სადაც განთავსებული იქნება ნაგვის ურნები დასტიკეტებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ანტიფრიზის წარმოებისას გამოყენებული დანადგარის, მოსარევი მიქსერის, სპეციფიკიდან გამომდინარე ის არ წარმოადგენს მაღალი ხმაურის დონის გამომწვევ დანადგარს, მით უმეტეს ის განთავსებული იქნება დახურულ შენობაში.

ხმაურის ინტენსივობის (დონის) გასაზომად უფრო ხშირად იყენებენ ლოგარითმულ სკალას, რომელშიც ყოველი საფეხური 10-ჯერ მეტია წინანდელზე. ხმაურის ორი დონის ასეთ თანაფარდობას უწოდებენ ბელს (ბ). ის განისაზღვრება ფორმულით:

$$I_b = \lg(I/I_0)$$

სადაც I – ბგერითი წნევის განსახილველი დონეა, პა;

I_0 – ადამიანის ყურის სმენადობის ზღვარია და უდრის $2 \cdot 10^{-5}$ პა.

ერთიანი და თანაბრადდაშორებული წერტილებისათვის ხმაურის ჯამური (L_x) დონე გამოითვლება ფორმულით:

$$L_j = L_1 + 10 \lg n, \text{ დბ} \quad (1.1)$$

სადაც L_1 – ერთი წყაროდან ხმაურის დონეა, დბ ($1 \text{ დბ} = 10 \text{ ბ}$)

n – ხმაურის წყაროს რიცხვია.

$10 \lg n$ არის ხმაურის ერთი წყაროს დონის დანამატი სიდიდე.

საწარმოში დამონტაჟებული დანადგარი, რომლებიც წარმოადგენენ ხმაურის წყაროს, მისთვის არ აღემატება 65 დეციბელს. მაშინ ხმაურის ჯამური დონე კუმულაციური ერთობლივი ზემოქმედებით ისევე იქნება 65 დბ.:

$$L_j = 65 + 10 \lg n = 65 \text{ დბ.}$$

ხმაური ინტენსივობის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად:

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ხმაური, რომლის ინტენსივობა აღწევს 80 დბ-ს. ასეთი ინტენსივობის ხმაური ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის.

მეორე ჯგუფს მიაკუთვნებენ ისეთ ხმაურს, რომლის ინტენსივობა მერყეობს 80-დან 135 დბ. ერთი დღელამის და მეტი დროის განმავლობაში, ასეთი ხმაურის ზემოქმედება იწვევს ადამიანის სმენის დაქვეითებას, ასევე შრომის-უნარიანობის დაწე-ვას 10-30%-ით.

მუდმივ სამუშაო ადგილებში ბგერითი წნევებისა და ხმის წნევის დასაშვები დონეები მოცემულია ცხრილ 1-ში.

ხმაური, რომლის ინტენსივობა მეტია 135 დბ მიეკუთვნება მესამე ჯგუფს და ყველაზე სახიფათოა. ასეთ ხმაურს იწვევს აირტურბინული გენერატორები (კონტეინერების გარეშე). 135 დბ-ზე მეტი ხმაურის სისტემატური ზემოქმედება (8-12 საათის განმავლობაში) იწვევს ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებას, შრომის ნაყოფიერების მკვეთრ შემცირებას. ასეთ ხმაურს შეუძლია გამოიწვიოს ლეტალური შემთხვევებიც.

ცხრილი 1.

დანართი 1. აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიებზე.

#	სათავსებისა და ტერიტორიების გამოყენებითი ფუნქციები	დასაშვები ნორმები		
		Lდღე (დბA)		Lღამე (დბA)
		დღე	ღამე	
1.	სასწავლო დაწესებულებები და სამკითხველოები	35	35	35
2.	სამედიცინო დაწესებულებების სამკურნალო კაბინეტები	40	40	40
3.	საცხოვრებელი და საძილე სათავსები	35	30	30
4.	სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების სამკურნალო და სარეაბილიტაციო პალატები	35	30	30
5.	სასტუმროების/ სასტუმრო სახლების/ მოტელის ნომრები	40	35	35
6.	სავაჭრო დარბაზები და მისაღები სათავსები	55	55	55
7.	რესტორნების, ბარების, კაფეების დარბაზები	50	50	50
8.	მაყურებლის/მსმენელის დარბაზები და საკრალური სათავსები	30	30	30
9.	სპორტული დარბაზები და აუზები	55	55	55
10.	მცირე ზომის ოფისების (≤ 100 მ) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკის გარეშე	40	40	40
11.	დიდი ზომის ოფისების (≥ 100 მ) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკით	45	45	45
12.	სათათბირო სათავსები	35	35	35
13.	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა ≤ 6) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს	50	45	40
14.	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს (სართულების რაოდენობა > 6), კულტურულ, საგანმათლებლო, ადმინისტრაციულ და სამეცნიერო დაწესებულებებს	55	50	45
15.	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან სასტუმროებს, სავაჭრო, მომსახურების, სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს	60	55	50

შენიშვნა:

1. იმ შემთხვევაში, თუ როგორც შიდა, ისე გარე წყაროების მიერ წარმოქმნილი ხმაური იმპულსური ან ტონალური ხასიათისაა, ნორმატივად ითვლება ცხრილში მითითებულ მნიშვნელობაზე 5 დბ A-ით ნაკლები სიდიდე.
2. აკუსტიკური ხმაურის ზემოაღნიშნული დასაშვები ნორმები დადგენილია სათავსის ნორმალური ფუნქციონირების პირობებისთვის, ანუ, როცა სათავსში დახურულია კარები და ფანჯრები (გამონაკლისია ჩაშენებული სავენტილაციო არხები), ჩართულია ვენტილაციის, კონდიციონერების, ასევე განათების მოწყობილობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ამასთან, ფუნქციური (ფონური) ხმაური (მაგ., ჩართული მუსიკა, მომუშავეთა და ვიზიტორთა საუბარი) გათვალისწინებული არ არის.

დანადგარების მიერ შექმნილი ბგერითი წნევის დონეები (L) განისაზღვრება ფორმულით:

$$L=L_p-20lgr -\beta_a r/1000-8\text{დბ} \quad (1.2)$$

სადაც:

L_p არის კომპრესორისა და სხვა მოწყობილობების მიერ გამოწვეული ბგერითი წნევის დონე, დბ. საწარმოს პირობებისათვის კუმულაციური ერთობლივი ზემოქმედებით ის შეადგენს 65 დბ-ს.

r _ მანძილია წყაროდან მოცემულ ადგილამდე

β_a _ ატმოსფეროში ხმის ჩახშობის სიდიდეა დბ/კმ და მოცემულია ქვემოთ ცხრილ 2-ში ატმოსფეროში ხმის ჩახშობის სიდიდე

ცხრილი 2.

ოქტანური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირე	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
ხმისდახშობა დბ/კმ	0	0.7	1.5	3	6	12	24	48

ფორმულა 1.2.-ში მნიშვნელობების ჩასმის შემდეგ r – მანძილისათვის მიიღება ბგერითი სიმძლავრის დონეები ხმის დამხშობი ღონისძიებების გატარების გარეშე იხ. ცხრილ 3-ში .

ცხრილი 3.

ბგერითი სიმძლავრის დონეები

ოქტანური ზოლების საშუალო გეომეტრიული	ბგერითი წნევის დონეები დეციბელში, საწარმოდან r მანძილზე (მ)								
	50	60	68	70	100	150	200	250	300
63	23.02	21.44	20.35	20.10	17.00	13.48	10.98	9.04	7.46
125	22.99	21.39	20.30	20.05	16.93	13.37	10.84	8.87	7.25
250	22.95	21.35	20.25	19.99	16.85	13.25	10.68	8.67	7.01
500	22.87	21.26	20.15	19.89	16.70	13.03	10.38	8.29	6.56
1000	22.72	21.08	19.94	19.68	16.40	12.58	9.78	7.54	5.66
2000	22.42	20.72	19.53	19.26	15.80	11.68	8.58	0.00	0.00
4000	21.82	20.00	18.72	18.42	14.60	0.00	0.00	0.00	0.00
8000	20.62	18.56	17.09	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

გარდა ამისა ბგერის გავრცელების სიჩქარე დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურასა და ქარის სიჩქარეზე, ხოლო ბგერის ჩახშობა განისაზღვრება ადგილის რელიეფით და ჰაერის

ტენიანობით. ყოველივე აღნიშნული გათვალისწინებული იქნება აკუსტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავების დროს.

ტექნოლოგიიდან გამომდინარე წინასწარი შეფასებით, საწარმოო ობიექტისაგან მოსალოდნელი ხმაური არ აღემატებოდეს დასაშვებ ნორმატივებს ახლომდებარე მოსახლეობისათვის.

როგორც ცხრილი 34-დან ჩანს, ხმაურის დონე საწარმოდან 50 მეტრში ნორმაზე ნაკლებია როგორც დღის საათებისათვის, ასევე ღამის საათებისათვის.

საწარმოო ტერიტორიაზე ფიქსირდება რამოდენიმე ძირი ხე მცენარეები, რომლებიც ბუნებრივია შენარჩუნებული იქნება, რადგან რაიმე საასენებლო სამუშაოების ჩატარება არ იგეგმება.

ისინი არ წარმოადგენენ წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებს. ასევე საწარმოო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში ასევე მის სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენად მასზე ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი.

საწარმოო ტერიტორიის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საწარმოო ტერიტორიაზე ანტიფრიზის წარმოებისათვის ბუნებრივია არ იგეგმება რაიმე სახის მიწის სამუშაოების წარმოება, ამდენად არ მოხდება რაიმე სახით ნიადაგის ნაყოფიერი ფენაზე ზემოქმედება.

საწარმოს ფუნქციონირებისას ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე შემდგომში რაიმე სახით რაიმე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეების ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

ანტიფრიზის წარმოების საამქროს ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გამოყენებული, გარდა წყლისა, რომელიც გამოყენებული იქნება ანტიფრიზის წარმოებისათვის სხვადასხვა კომპონენტების ერთმანეთში შესავეებისათვის.

საწარმოს ფუნქციონირებისას მოსალოდნელია პრაქტიკულად მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა (წელიწადში მაქსიმუმ 3.65 მ³-ის ოდენობით). ასევე საწარმოში შემოტანილი ნედლეულის პლასტმასის ტარა, ისინი გამორეცხის შემდეგ გამოყენებული იქნება პროდუქციის შესანახ და სარეალიზაციო ტარად. ის ნარჩენების სახით არ წარმოიქმნება, ხოლო გამონარეცხი წყალი გამოყენებული იქნება ისევ ანტიფრიზის წარმოებისას. აღნიშნული ნარჩენებისა და ასევე რაიმე სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ჩვრები და სხვა) მათი მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოთხოვნების

გათვალისწინებით, კერძოდ მათი დროებითი განთავსება, ტრანსპორტირება და გადაცემა შესაბამისი ნებართვების მქონე ორგანიზაციებზე.

საწარმოსათვის განკუთვნილი ტერიტორია უახლოეს დაცული ტერიტორიიდან - თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორია დიდი მანძილითაა დაშორებული. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესიდან და მისი მაშტაბებიდან გამომდინარე, მისი ფუნქციონირება ვერ მოახდენს რაიმე უარყოფით ზეგავლენას ზემოთ აღნიშნულ დაცულ ტერიტორიაზე;

განთავსების ტერიტორიიდან უახლოესი მიწისზედა ძეგლები (ისტორიული მნიშვნელობის აქტივები ან ნაგებობები) დაშორებულია დიდი მანძილით. საწარმოს სპეციფიკიდან და მაშტაბებიდან გამომდინარე მისი ფუნქციონირება ვერ გამოიწვევს რაიმე უარყოფით ზეგავლენას ისტორიულ ძეგლებზე.

საწარმოს ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან მის სიახლოვეს არ ფუნქციონირებს ანალოგიური ტიპის საწარმო, რომელიც გამოიწვევდა კუმულაციურ ზემოქმედებას.

საწარმოს ფუნქციონირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს ანტიფრიზისა ან მის საწარმოებლად გამოყენებული ნივთიერებების ავარიული დაღვრა. საწარმოო ტერიტორია ისე იქნება მოწყობილი, რომ მისი გავრცელება არ მოხდება შენობის გარე პერიმეტრზე და მოხდება მისი შეგროვება და ისევ წარმოებაში გამოყენება.

ასევე სახანძრო უსაფრთხოებამ მიზნით დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფები ცეცხლმაქრებით.

დანართი 1. მიწის ნაკვეთის განლაგების სიტუაციური გეგმა



დანართი 2. მიწის ნაკვეთის ამონაწერი.



მწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.11.03.010.004**

ამონაწერი საჯარო რეგისტრაციის

განცხადების რეგისტრაცია
N 882019525769 - 01/07/2019 17:47:39

მოწმადების თარიღი
17/07/2019 15:32:40

საკუთრების განყოფილება

მონა თბილისი	სექტორი გლდანი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამზუსტებული ფართობი: 4916.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1
01	11	03	010/004	

მისამართი: ქალაქი თბილისი , დასახლება ბუჭაძე , (ნაკვ. 10/004)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019525769 , თარიღი 01/07/2019 17:47:39
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/07/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N26596 , დამოწმების თარიღი:01/07/2019 , ქალაქ თბილისის მერის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო

მესაკუთრები:
შპს "მეტრო პროექ" , ID ნომერი:400228160

მესაკუთრე: აღწერა:
შპს "მეტრო პროექ"

იპოთეკა

საგადასახადო გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო. <http://public.reestri.gov.ge>

გვერდი: 1(2)

დანართი 3. მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა

სამართლებრივი იუსტიციის სამინისტრო
 საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო
 საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.11.03.010.004


თბილისის სარეგისტრაციო სამსახური

დასახელება: არახახოველი-სამეურნეო

განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 201731-07

ნაკვეთის ფართობი: 4916 კვ.მ.

მომზადების თარიღი 19.12.07



დანართი 4. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20053807, 14/07/2020 00:07:56

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს მეტრო პროექტ
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400228160
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 29/01/2018
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, გ. სვანიძის ქ., N6, ბ. 29

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: andrew.grinikh@gmail.com
დამატებითი ინფორმაციის წამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- დირექტორი - ვარუჟან ვართანიანი, A1283089, AS00023444, A1111323 /თურქმენეთი/

პარტნიორები

შესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
ვარუჟან ვართანიანი, AS00023444, A1111323: A1283089 /თურქმენეთი/		100%

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

-
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
 - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , წებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
 - ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაგსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
 - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
 - საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკაბონო ქვადების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
 - თქვენთვის საინტერესო წებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვჭერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 5. ანტიფრიზის წარმოების რეცეპტი 1 ტონა პროდუქციის მისაღებად.

АНТИФРИЗ LUX G 12 (-45/+123°C)			
№	Наименование компонента	% ввода	масса ввода, кг
1	Вода дистиллированная	40,000	400,00
2	Пеногаситель Пента-4604	0,006	0,06
3	Краситель «красный»	0,001	0,01
4	Гидроокись натрия- Сода каустическая	4,500	45,00
5	Декстрин в/с	0,064	0,64
6	Моноэтиленгликоль	54,000	540,00
7	Натрий нитрит технический	0,100	1,00
8	Бура (натрий тетраборнокислый)	0,620	6,20
9	Каптакс технический МВТ	0,025	0,25
10	Бензойная кислота техническая	0,700	7,00
11	Итого	100,016	1000,00

დანართი 6. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატები.

1. ტვირთის გამგზავნი (ექსპორტიორი) (სახელწოდება და მისამართი) შპს „დელოვიე მოსტი“, 108811, ქ.მოსკოვი, ქ.მოსკოვსკი, ხაზაროვის ქუჩა, სახლი 2, ბლოკი 4, სართული 10, ოფისი 1011, რუსეთის ფედერაცია		4. № RUGE 00010041989284454 საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი ფორმა სტ-1 გაცემულია რუსეთის ფედერაციაში			
2. ტვირთის მიმღები (იმპორტიორი) (სახელწოდება და მისამართი) შპს „მეტრო პროჟექ“, ქ.თბილისი, გვიი სვანიძის ქუჩა 6, ბინა 29, საქართველოს რესპუბლიკა		გაცემულია საქართველოს რესპუბლიკაში წარსადგენად			
3. სატრანსპორტო საშუალება და მარშრუტი (რამდენადაც ეს ცნობილია): საავტომობილო ტრანსპორტი, რუსეთის ფედერაცია - საქართველოს რესპუბლიკა		5 სამსახურებრივი აღნიშვნებისათვის კონტრაქტი № 25/08/20, 25.08.2020 წელი			
6 №	7 ადგილების რაოდენობა და შეფუთვის სახეობა	8 საქონლის აღწერა	9 წარმოშობის კრიტერიუმი	10 საქონლის რაოდენობა	11 ანგარიშ-ფაქტურის ნომერი და თარიღი
	7 ადგილი 8 ადგილი			სულ: წონა ბრუტო 17873,00 კგ წონა ნეტო 16985,16 კგ წონა ბრუტო პალეტებით: 17998.0 კგ	ინვოისი № 2508 25.08.2020 წ.
1	ადგილის	ეთილენგლიკოლი - 27ც.	კ		
2	ნაწილი	ეთილენგლიკოლი - 8ც.	კ		
3	ადგილის	დექსტრინი სიმინდის, ვ/ს - 1	კ		
4	ნაწილი	ც.			
4	ადგილის	ნატრიუმის ნიტრიტი, ტექნიკური - 1 ც.	კ		
5	ნაწილი				
5	95 ადგილი	ქაფსაწინააღმდეგო პენტა- 4604 – 2 ცალი	კ		
6		პლასტიკატის ბაკები	დ-3923		
6	504 ადგილი	თავსახურით, 1 ლ., 5040 ცალი - 95 ყუთი			
7		პლასტიკატის ბაკები	დ-3923		
7	1 ადგილი	თავსახურით, 4,7 ლ., 6000 ცალი - 504 ყუთი			
8		უკუოსმოსის დანადგარი	დ-8421		
8	1 ადგილი	ოს-0.75, 1 ც. სითხის ჩამოსასხმელი			
9		ნახევარავტომატი, 4 რგ - 1 ც.	დ-8422		
9	სულ: 16 პალეტი, 600 ყუთი				
12 დადასტურება დადასტურებულია, რომ განმცხადებლის დეკლარაცია შეესაბამება სინამდვილეს რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატა 109012, რუსეთი, ქალაქი მოსკოვი, ილკინის ქუჩა, სახლი 6 ხელმოწერილია, ბეჭედი დასმულია			13. განმცხადებლის დეკლარაცია ხელმოწერილი პირი ადასტურებს, რომ ზემოთ მოყვანილი მონაცემები სწორია, რომ ყველა საქონელი წარმოებულია სრულად ან გავლილი აქვთ საკმარისი გადამუშავება რუსეთის ფედერაციაში და რომ ისინი შეესაბამება ასეთი საქონლისათვის დადგენილ წარმოშობის მოთხოვნებს. ხელმოწერილია, ბეჭედი დასმულია		

ოოო „ნოვე გორიზონტი“
 ინ/კპპ“ 5259074545/525901001, ოგრნ: 1085259002014
 რუსეთი, ქალაქი ნიჟნი ნოვგოროდი, მოსკოვის გზატკეცილი 213ა, ოფისი 506

ხარისხის სერტიფიკატი

პროდუქტის დასახელება	ბენზოინის მჟავა (Benzoic acid)
პარტიის ნომერი	F 055-20, F 056-20
დამზადების თარიღი	2020 წლის აპრილი
ვარგისიანობის ვადა	2023 წლის აპრილი
შეფუთვა	25 კგ-იანი ტომრები
წარმოშობის ქვეყანა	რუმინეთი
მწარმოებელი	SINTEZA S.A

რ/ნ	მაჩვენებლების დასახელება	ნორმა	F 055-20 ანალიზის შედეგი	F 055-20 ანალიზის შედეგი
1	გარეგანი სახე	ფანტელები დამახასიათებელი სუნით	ფანტელები დამახასიათებელი სუნით	
2	ძირითადი ნივთიერების შემცველობა %	მინ. 99,5	99,65	99,62
3	ფერი (არნა)	მაქს. 50	შეესაბამება	
4	წყლის შემცველობა %	მაქს. 0,05	0,028	0,029
5	დნობის ტემპერატურა, C	121,0 – 123,5	122,6	122,7
6	სულფოზოლის შემცველობა	მაქს. 0,05	0,03	0,031
7	მძიმე ლითონების შემცველობა	მაქს. 10,0	შეესაბამება	
8	ფტალიუმის ანჰიდრიდის შემცველობა	მაქს. 0,2	შეესაბამება	
9	3-მეთილბიფენილის შემცველობა	მაქს. 0,4	შეესაბამება	

მწარმოებლის ორიგინალი სერტიფიკატის შესაბამისად

პროდუქტი: ხუთწყლოვანი ბორაკი
ჩამოტვირთულია: თბომავალ „ოპოლე“-ზე
თბომავალზე ჩამოტვირთვის თარიღი: 26.09.2018
პარტიის ნომერი: 17 BPP-2018
მწარმოებელი: ეტი მადენ, მთავარი სამმართველო, ანკარა, თურქეთი
სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია № 10313070/270918/004203/1

სახელწოდება: ETIBOR-48
(ხუთწყლოვანი ბორაკი) (ნატრიუმის ტეტრაბორატი, პენტაჰიდრატი)

ქიმიური ფორმულა: $\text{Na}_2\text{B}_4\text{O}_7 \cdot 5\text{H}_2\text{O}$

ქიმიური ანალიზი:

ელემენტი	ერთეულები	მაჩვენებელი ნორმის მიხედვით	ფაქტიური მაჩვენებელი
B_2O_3	%	48.00 – 49,35	48.68
SO_4	%	0,0135 max	0,0079
Cl	%	0,0070max	0,0068
Fe	%	0,0003 max	0,000150
Na_2O	%	21,37 – 21,95	21,67
წყალში უხსნადი	%	0,0150max	0,0115
$\text{Na}_2\text{B}_4\text{O}_7 \cdot 5\text{H}_2\text{O}$	%	100.42 – 103.24	101,84
ექვივალენტი			
ნარჩენი ცხავეზე			
ნაკვეთურის ზომა (მმ)	ერთეულები	მაჩვენებელი ნორმის მიხედვით	ფაქტიური მაჩვენებელი
+1.180	%	4,00 max	1,10
-0.075	%	5,00 max	4,80

ეტიბორ-48, 25 კილოგრამიან ტომრებში, პალეტებზე, წონა (ნეტო) 1.2 ტ.
ვარგისიანობის ვადა - 12 თვე თბომავალზე ჩამოტვირთვის დღიდან, შენახვის პირობების დაცვით

ხელმოწერილია
ბეჭედი დასმულია

ZHENGZHOU DOUBLE VIGOUR CHEMICAL
PRODUCT CO., LTD

ტექნიკური მონაცემების ფურცელი

MBT

საერთო დასახელება: ვულკანიზაციის დამაჩქარებელი MBT
მოლეკულური ფორმულა: $C_7H_5NS_2$
ქიმიური დასახელება: 2-მერკაპტობენზოტიაზოლი
მოლეკულური წონა: 167.26
CAS NO: 149-30-4

სპეციფიკაცია:

გარეგანი სახე დნობის თავდაპირველი წერტილი დანაკარგები გახვრეტისას ნაცარი ნარჩენი ცხავზე 150 μ t	ღია ყვითელი ან ყვითელი ფერის ფხვნილი 170.0 $^{\circ}$ C წუთში 0.50% მაქს. 0.30% მაქს. 0.10% მაქს.
---	---

თვისებები: აქვს ოდნავ არასასიამოვნო სუნი და მწარე გემო, არატოქსიურია. ხვედრითი წონა: 1,46-1,52. იხსნება ეთილაცეტატში, აცეტონში, ჰიდროქსიდ ნატრიუმისა და კარბონატ ნატრიუმის გაჯერებულ ხსნარში, ეთილის სპირტში. რთულად იხსნება ბენზოლში. უხსნადია წყალსა და ბენზინში.

გამოყენება: გამოიყენება: NR, IR, SBR, NBR, HR და EPDM-თვის. ერთ-ერთი ძირითადად გამოყენებადი მჟავური დამაჩქარებელი ამჟამად და პირველადი დამაჩქარებელი ვულკანიზაციის საშუალო სიჩქარით. ავლენს შესანიშნავ თვისებებს რეზინის დამკველების წინააღმდეგ როგორც ერთ-ერთ დამაჩქარებლად გამოყენებისას, ასევე DM-სთან, TMTD-სთან და მრავალ სხვა, ძირითადად საბაზისო დამაჩქარებლებთან ერთად გამოყენების დროს აქტიურობის ზრდის თვალსაზრისით. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ აქვს ტენდენცია სკორჩინგისადმი. არ გამოიყენება იმ ნაკეთობათა დასამზადებლად, რომელთაც კონტაქტი აქვთ საკვებთან. ძირითადად ხმარობენ საბურავების, მილების, ფეხსაცმლის, ქაღალდისა და შლანგების წარმოებაში

შენახვა: კონტეინერი ინახება დახურულ, ცივ, ადგილას, რომელიც კარგად ნიავედება. რეკომენდებული შენახვის ვადა - 2 წელი აღნიშნული პირობების დაცვისას

შეფუთვა: 25 კგ-იანი პოლიპროპილენის ან ქაღალდის ტომრები.

ხარისხის ინსპექტირების სერტიფიკატი

თარიღი: 2018 წლის 09 ივლისი
 კონტრაქტის ნომერი: TY-HR-18-9

ანგარიშის ნომერი: TY-HR-18-9
 კონტრაქტის თარიღი: 2018 წლის 26 ივნისი

საქონლის დასახელება	სოდა კაუსტიკური, ტუტოვანი CAS No.1310-73-2			წარმოების თარიღი	2018 წლის 09 ივლისი
ტიპი	98.0%			ინსპექტირების თარიღი	2018 წლის 09 ივლისი
ინსპექტირების სტანდარტი	GB 209-2006				
ინსპექტირების მონაცემები (შინაარსი)	შინაარსი			ინსპექტირების შედეგი	დასკვნა
	უმაღლესი ხარისხი	პირველი ხარისხი	სტანდარტი		
NAOH % ≥	99.0	98.5	98.0	98.3	სტანდარტი
NA2CO3 %≤	0.5	0.8	1.0	0.3	უმაღლესი ხარისხი
NACL %≤	0.03	0.05	0.08	0.01	უმაღლესი ხარისხი
FE2O3 %≤	0.005	0.008	0.01	0.002	უმაღლესი ხარისხი
დასკვნა: შეესაბამება სტანდარტს სტანდარტის უმაღლესი ხარისხი: GB/5761-2006 ვარგისიანობის ვადა: 2 წელი პარტიის ნომერი: TC201807B11P20565					

ლაბორანტი, ქიმიკოსი: LIYUMEI GUXUEMEI
 მეორე ინსპექტორი: LIYUMEI GUXUEMEI
 ზედამხედველი: LI FANG